საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგები

დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ

თბილისი
2017

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს
სახალხო დამცველი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

შინაარსი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

ძირითადი მიგნებები 7

შესწავლილი პრაქტიკის ანალიზი 8

საქართველოს მთავარი პროკურატურის გენინსპექცია 9

სუს-ის გენინსპექცია 11

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექცია 11

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენინსპექცია . 14

რეკომენდაციები 17

შესავალი

2013 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების ობიექტური და ეფექტიანი გამოძიების მონიტორინგი იყო. 2014 წლიდან სახალხო დამცველის რეკომენდაციაა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, რომელიც დანაშაულის ობიექტური გამოძიებით და დაუსჯელობის აღმოფხვრით, მოემსახურება საზოგადოებაში სამართალდამცავი სისტემების მიმართ ნდობის ამაღლებას. დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნის საჭიროება დღემდე იმითაა განპირობებული, რომ ამ უწყებების მხრიდან უფლებადარღვევის ფაქტებზე ინდივიდთა საჩივრები კვლავ ფიქსირდება და დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დასჯის მაჩვენებელი თითქმის ნოლს უტოლდება[1].

სამართალდამცავთა სისტემაში ვაქცევთ იმ უწყებებს, რომლებსაც მოქალაქეების უფლებაში არსებითად და ხშირ შემთხვევაში, ინტენსიურად ჩამრევი ღონისძიებების გატარების სახელმწიფო ფუნქცია გააჩნიათ: პროკურატურა, პოლიცია (შსს), პენიტენციური დაწესებულება (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) და სახელწიფო უსაფრთხოების სამსახური. ეს უწყებები აღჭურვილნი არიან მთელი რიგი იძულებითი და შემზღუდავი ბერკეტებით, ინდივიდის მიმართ.

დემოკრატიული წესრიგის და ადამიანის უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად მსგავს უწყებათა მიმართ განსაკუთრებული კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია იმ მიზნით, რომ განეიტრალდეს უფლების დარღვევის მომეტებული რისკი. კონტროლის ერთ–ერთი ინსტრუმენტი ამ უწყებათა თანამშრომლების საქმიანობის კანონიერების და ეთიკის კონტროლია, რომელიც სხვა პარამეტრებთან ერთად, ასევე იზომება ინდივიდთა პრეტენზიების ობიექტური, დროული და გამჭვირვალე განხილვით და ადეკვატური პასუხით დარღვევის მიმართ, რომელიც ამ უწყებათა თანამშრომელმა ჩაიდინა.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვის არასრულყოფილი, გაუმჭვირვალე, გაჭიანურებული პროცესი და განმცხადებლის ინფორმირებულობაზე უარის თქმა ხელს უშლის კანონიერების და სამართლიანობის თაობაზე საზოგადოებრივი რწმენის ჩამოყალიბებას. ფაქტის მიუკერძოებლად, სრულყოფილად და გონივრულ ვადაში შესწავლა ემსახურება კანონიერების პრინციპის დამკვიდრებას, მიმართულია თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და ხელს შეუწყობს სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის ამაღლებას.

საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. ამ უწყებების მიერ წარმოდგენილი პასუხების მიხედვით, როგორც წესი, დისციპლინური დარღვევის ფაქტი არ დასტურდება. მსგავს საქმეებზე განხორციელებული რეაგირების შედეგებმა, რომლის მიხედვითაც, უმეტეს შემთხვევებში, არ ხდება გადაცდომის

[1] იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები, 2013-2016 წწ. რომლებიც შეეხება ეფექტიანი გამოძიების პრობლემას, პოლიციელთა და საპატიმრო დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე, მოქალაქეებისა და თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ.

დადასტურება, განაპირობა სამართალდამცავი პირების ქმედებებზე მოქალაქეთა საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტიანობის შესწავლის საჭიროება.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის (შემდგომში – „პროკურატურა“), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – „შსს“), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში – „სუს“), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – „სასჯელაღსრულება“) გენერალური ინსპექციების (შემდგომში – „გენინსპექცია“) მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესის შესწავლის შედეგები.

ანგარიშის მიზანს ამ დროისთვის არსებული პრაქტიკის ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზების წინ წამოწევა წარმოადგენს, რამდენადაც გენინსპექციების მუშაობის ეფექტიანობა მოქალაქეთა პრეტენზიების შემოწმების პროცესში, ამ დრომდე არასოდეს გამხდარა არც მთავრობის და არც საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგის თემა.

წინამდებარე დოკუმენტი შეეხება არსებული სიტუაციის შეფასებას და ამ დროისთვის შემოიფარგლება მხოლოდ პირველადი რეკომენდაციებით, რომლებიც სისტემურ და ძირეულ ცვლილებებს არ გულისხმობს. ხარვეზების გამოსწორების ეფექტიანი გზების ძიება, რომლებიც ასევე, უნდა მოიცავდეს სისტემურ ცვლილებებს, წარმოადგენს მთავრობის, სახალხო დამცველის და სამოქალაქო სექტორის ერთობლივ სამუშაოს. სისტემური ხასიათის რეკომენდაციების და მათი გათვალისწინებისთვის ერთობლივი გეგმის შემუშავებას ამ დოკუმენტში ასახული მიგნებების საპასუხოდ, სახალხო დამცველი ამ ანგარიშის ლოგიკურ გაგრძელებად მოიაზრებს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა შიდა კანონმდებლობისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეთა ანალიზით. ანგარიშის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საკითხები, რომლებზეც ყურადღება გამახვილდა უწყებათა გენინსპექციების წარმომადგენლებთან ცალ–ცალკე გამართული სამუშაო შეხვედრებისას.

შესწავლილ საქმეებში იგულისხმება უწყებებიდან მოწოდებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, იმ პრეტენზიების საფუძველზე, რომლებიც უწყებათა თანამშრომლების მიმართ სხვა და სხვა დროს შეიტანეს ცალკეულმა პირებმა, ადვოკატებმა თუ პატიმრებმა და ამ მასალების სრული ანალიზი. მონაცემების გამოთხოვის დროის მონაკვეთი აპარატმა თავად შეარჩია შემთხვევითობის პრინციპით. აპარატმა შეისწავლა უწყებების მიერ მოწოდებული სამსახურებრივი შემოწმების საქმეები:

- სუს-ის გენინსპექციის[2] მიერ 2015 წლის 01 აგვისტოდან 2016 წლის 01 ივნისამდე პერიოდში წარმოებული 12 საქმე;
- სასჯელაღსრულების[3] გენინსპექციის მიერ 2016 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში წარმოებული 108 საქმე;
- შსს-ს გენინსპექციის მიერ 2016 წლის სექტემბრის, ნოემბრის და 2017 წლის იანვარის პირველი ნახევრების[4] პერიოდში წარმოებული 165 საქმე; ანგარიშში შევიდა ასევე ის 7 შემთხვევა[5], რომელიც სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე;
- პროკურატურის გენინსპექციას 2016 წლის იანვრიდან 1 ივნისამდე საჩივრებით მიმართეს 552 შემთხვევაში, თუმცა, მხოლოდ 6 საქმეზე დაიწყო შემოწმება[6]; სახალხო დამცველის აპარატმა კი შეისწავლა პროკურატურიდან მოწოდებული 5 დასრულებული საქმე[7].

საქმეთა შესწავლის შედეგად სახალხო დამცველის აპარატმა გაანალიზა შემოწმების არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარე და შესაბამისი ტენდენციები, არამედ, მოამზადა სტატისტიკა იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც უშუალოდ შემოწმების პროცესს უკავშირდება და გამომდინარეობდა შემოწმების მასალებიდან. სტატისტიკა დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ანგარიშის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მკითხველთა ფართო წრე, რომელთა შორის ბევრს არ აქვს იურისტის პროფესია. შესაბამისად, ტექსტი მაქსიმალურად დაცლილია იმგვარი სამართლებრივი მსჯელობისგან, რომლებიც მხოლოდ იურიდიული განათლების მქონე აუდიტორიისთვის იქნებოდა ნათელი. ამის გათვალისწინებით, ანგარიში ასევე არ მოიცავს ვრცელ ნორმატიულ მსჯელობას და მხოლოდ დასკვნითი სახით წარმოაჩენს საკანონმდებლო თუ პრაქტიკის ხარვეზებს.

სახალხო დამცველი მადლობას უხდის პროკურატურის, შს და სასჯელაღსრულების სამინისტროებისა და სუს-ის გენინსპექციებს თანამშრომლობისთვის. მათი დახმარებით ჩატარდა შეხვედრები გენინსპექციების წარმომადგენლებთან და მათივე თანამშრომლობით სახალხო დამცველმა მიიღო მოთხოვნილი ინფორმაცია.

---

[2] სუს-ის 2016 წლის 14 დეკემბრის N3115186 წერილი.

[3] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 21 ოქტომბრის NMOC81600874171 წერილი.

[4] 2017 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველის 3 რწმუნებული შსსს გენერალურ ინსპექციაში გაეცნო 165 საჩივრის მასალებს.

[5] შსსს 2017 წლის 13 ივლისის NMIA51701676462, 2016 წლის 26 ოქტომბრის NMIA916026840016, 2017 წლის 01 აგვისტოს NMIA31701836633 წერილებით წარმოდგენილი 7 საქმე.

[6] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 4 ივლისის N13/41948 და 30 აგვისტოს N13/56463 წერილები.

[7]საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 20 დეკემბრის N13/79531 წერილის დანართით წარმოდგენილი 5 საქმე.

ძირითადი მიგნებები

ოთხივე უწყების გენინსპექცია

- გენინსპექციების დებულებები არ ითვალისწინებს სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების დაწყების ვალდებულებას გადაცდომის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე;
- სამსახურებრივი შემოწმების მიმდინარეობისას ან დამთავრების შემდეგ მოქალაქეებს, როგორც წესი, გარდა სახელმწიფო უსაფრთოების სამსახურისა, არ მიეწოდებათ ინფორმაცია გენინსპექციების მიერ განხორციელებული მოქმედებებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესახებ;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში უარის გასაჩივრების უფლებას, წესს და პროცედურას[8];
- არ ხდება სტატისტიკური მონაცემების პროაქტიულად დამუშავება და გამოქვეყნება; აგრეთვე, საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეებზე ინფორმაციის მიწოდება;
- განცხადება/საჩივრების საფუძველზე დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რიცხვი უკიდურესად დაბალია ყველა უწყებაში;
- გენინსპექციების უფლებამოსილებისა და კომპეტენციის შესახებ საზოგადოების ცნობადობის დონე უკიდურესად დაბალია.

საქართველოს მთავარი პროკურატურის გენინსპექცია

- განცხადებათა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაზე იწყება სამსახურებრივ შემოწმება;
- ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული შემოწმების დაწყების კრიტერიუმები;
- დაწყებული შემოწმება დროულად და ამომწურავად მიმდინარეობს;
- გენინსპექციის მიერ შედგენილი სარეკომენდაციო ბარათი შეიძლება დასაბუთების გარეშე არ იქნას გაზიარებული პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველი საკონსულტაციო საბჭოს მიერ და პირს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.

[8] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იმსჯელა რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ გაცემული როგორც ცნობა, ასევე დასკვნა წარმოადგენს ე.წ. შუალედურ აქტს, რომლის გასაჩივრებაც მათი გამართლებრივი ბუნების გამო არ ხდება. ასევე, „ხელახალი სამსახურებრივი შემოწმების დავალების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა სცილდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საერთო სასამართლოების მიერ განხილვის ფარგლებს და დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, შესაბამისად, არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას.“ იხ. „დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სამართალდამცავ ორგანოებში“ გვ. 22-24, http://bit.ly/2hFjZmK.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენინსპექცია

- მოქალაქეთა მომართვიანობა უკიდურესად დაბალია;
- შეისწავლის იმ განცხადებებსაც, რომელიც არ შედის მის უფლებამოსილებაში;
- მოქალაქეთა უმეტესობას ეცნობება შემაჯამებელი პასუხი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექცია

- შემოწმების პროცესში სამხრე კამერების ან/და სხვა ვიდეო ჩანაწერები როგორც წესი არ არის შესწავლილი;
- რეაგირება განცხადება/საჩივარზე ხშირ შემთხვევაში სწრაფად ხდება და ძირითადად გამოიკითხება ყველა მონაწილე პირი;
- პოლიციელთა გამოკითხვის ტექსტი ხშირ შემთხვევებში იდენტურია;
- მყისიერია რეაგირება მაღალი ინტენსივობის უფლებადარღვევის შინაარსის მქონე საჩივრებზე, რასაც ხელს უწყობს რეგიონული ოფისების არსებობა;
- არ იწყება სამსახურებრივი შემოწმება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე წარდგენილ საჩივრებზე და განცხადება იგზავნება პროკურატურაში.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენინსპექცია

- ადამიანური რესურსის დეფიციტი, რის გამოც დიდი დროის დაგვიანებით ხდება რეაგირება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან შემოსულ განცხადება/საჩივრებზე;
- პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების გამოკითხვისას გვხვდება ახსნა-განმარტების იდენტური ტექსტები;
- შემოწმების პროცესში პენიტენციური დაწესებულების ვიდეოკამერების ჩანაწერების, როგორც ნეიტრალური მტკიცებულების დაარქივება თითქმის არ ხდება;
- ხშირად არ ხდება შესაძლო დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება.

შესწავლილი პრაქტიკის ანალიზი

ოთხივე სახელმწიფო უწყების გენინსპექციებიდან გამოთხოვილი საქმეების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ მსგავსი დანიშნულების, ფუნქციებისა და საკანონმდებლო ბაზის გამო, აღნიშნული ორგანოების საქმიანობა ძირითადად მსგავსია და მხოლოდ საქმიანობის თავისებური სტილით განსხვავდებიან.

ოთხივე შემთხვევაში, გადაცდომების დადასტურების პროპორციულობა ძალიან დაბალია. აღნიშნული მაჩვენებელი, შესაძლოა, არც იძლეოდეს კონკრეტული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გენინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების ობიექტურობის შესახებ. თუმცა, ყველა უწყებაში მეტნაკლებად მაინც გამოვლინდა შემოწმების ნაკლოვანებები იმ

შესაძლო მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, რომელიც ფაქტის დადასტურებას დაეხმარებოდა.

გენინსპექციების საქმიანობაზე გავლენას ახდენს მიმართვიანობის მაჩვენებელიც. სტატისტიკა აჩვენებს, რომ, მაგალითად, სასჯელაღსრულების გენინსპექციას არ ჰყოფნის ადამიანური რესურსი თითოეული განცხადების სიღრმისეულად შესასწავლად, როდესაც სუს-ის გენინსპექციას მხოლოდ ერთეული მოქალაქეები მიმართავენ.

ამ განსხვავებების მიუხედავად, შესაძლებელია ყველა უწყებისთვის საერთო ხარვეზების გამოკვეთაც, რაც, ძირითადად, განმცხადებლებთან ურთიერთობას უკავშირდება. შესწავლილი განცხადებებიდან აშკარაა, რომ მოქალაქეებს, ხშირ შემთხვევაში, არანაირი, ან არასწორი ინფორმაცია აქვთ გენინსპექციების საქმიანობის სფეროსა და დანიშნულებასთან დაკავშირებით. გარდა ამისად, ეს უწყებები, როგორც წესი, არ აცნობებენ განმცხადებელს განცხადებასთან დაკავშირებით განხორციელებული სამართლებრივი რეაგირების შედეგებს.

მოქალაქეთა ცნობადობის ზრდა ამ უწყებების საქმიანობის ხარისხზე პირდაპირპროპორციულად აისახება და მათივე ინტერესი უნდა იყოს. ამასთან, მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა რეაგირება მოჰყვა მის მიერ მითითებულ ფაქტებს, ფლობდეს ინფორმაციის ჩატარებული მოქმედების შესახებ და გაეცნოს შემაჯამებელ დასკვნას, რათა გაიზარდოს საზოგადოების ნდობა უწყებებისადმი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის გენინსპექცია

2016 წლის 01 იანვრიდან 01 ივნისამდე პროკურატურის გენინსპექციას განცხადებითა და საჩივრით 552–მა პირმა, ბრალდებულმა და ადვოკატმა მიმართა, თუმცა სამსახურებრივი შემოწმება მხოლოდ 6 შემთხვევაში დაიწყო[9]. წინამდებარე ანგარიში 5 დასრულებული საქმის ანალიზს ემყარება, რომელიც პროკურატურამ წარმოგვიდგინა.[10]

იმის გამო, რომ არ არსებობს ნორმატიული კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც უნდა დაიწყოს სამსახურებრივი შემოწმება, გაურკვეველია რა იყო 552 მიმართვიდან მხოლოდ 6-ზე შემოწმების დაწყების, ხოლო დანარჩენი მიმართვების უგულებელყოფის საფუძველი. ნორმატიულად მხოლოდ ის არის დადგენილი, რომ გენინსპექციის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას შემოწმების დაწყებაზე[11], თუმცა, რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს გადაწვეტილების მიღებისას, არ არის განსაზღვრული საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი ნორმატიული აქტით. აღნიშნული ნაკლი არაერთგვაროვანი პრაქტიკისა და თვითნებობის მაღალ შესაძლებლობას იძლევა, რომელიც მეორე მხრივ, საზოგადოებაში ნდობის შემცირებას იწვევს.

ზემოაღნიშნული 552–დან 547 განცხადება/საჩივარის შესახებ შემოწმების არ დაწყება რა გარემოებებით იყო განპირობებული ჩვენთვის უცნობია. გენინსპექციის თანამშრომელთა

---

[9] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 04 ივლისის N13/41948 და 2016 წლის 30 აგვისტოს N13/56463 წერილები.

[10]საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 20 დეკემბრის N13/79531 წერილით წარმოდგენილი 5 საქმე (3 საქმე - 2015 წ. 2 საქმე - 2016 წ.)

[11] საქართველოს მთავარი პროკურატურის გენინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

ზეპირი განცხადებების მიხედვით, შემოწმების დაწყებამდე ტარდება მოკვლევა, მაგრამ ამას აქვს თუ არა დოკუმენტირებული ხასიათი და რა ფორმით აისახება სამსახურებრივ მასალებში არ არის ცნობილი. ეს ბუნდოვანება პროკურატურის მიერ საკუთარი თანამშრომლების საქმიანობის კანონიერების და ეთიკის კონტროლის ნაკლოვანებაზე მიანიშნებს, რადგან ყოველ ამ განცხადება/საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიები ინდივიდისთვის კვლავ უპასუხოდაა დატოვებული, მიუხედავად იმისა, რომ მან მიმართა პროკურატურის გენინსპექციას შესწავლისა და რეაგირებისთვის.

5 შემოწმების შემთხვევაში გადაცდომა დადასტურდა ერთ შემთხვევაში, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, დისციპლინური პასუხისმგებლობა პირს არ დაეკისრა.

სამსახურებრივი შემოწმება, მისი დაწყების შემთხვევაში, როგორც წარმოდგენილი 5 საქმის ანალიზი ცხადყოფს, სრულყოფილად მიმდინარეობს. გენინსპექციამ დროულად მოიპოვა და შეისწავლა ახსნა–განმარტებები და სხვა წერილობითი დოკუმენტაციები და გამოითხოვა სათანადო ვიდეომასალაც.

შესწავლის ხანგრძლივობა ხუთივე შემთხვევაში გონივრულ ვადებს არ გადასცილდა. კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გაგრძელების თაობაზე შედგა მოხსენებითი ბარათები, რომელიც სათანადოდ იყო დასაბუთებული. საქმის შესწავლის შემდგომ თითოეულ განცხადებასთან დაკავშირებით შედგა შესაბამისი დასკვნა, რომელიც იყო დასაბუთებული და გამომდინარეობდა საქმეში არსებული ობიექტური გარემოებებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ 5 საქმის ანალიზით ტენდენციების გამოკვეთა შეუძლებელია, თუ როგორ ახორციელებს პროკურატურის გენინპექცია სხვა შემთხვევებშიც შემოწმებას, მაინც გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაშიც შესაძლოა დადგეს:

ერთ–ერთ საქმეში განმცხადებლის საჩივრის საფუძველზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები[12] და გენინსპექციამ მთავარ პროკურორს დასაბუთებული რეკომენდაციით მიმართა, კონკრეტული პროკურორის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების შესახებ.[13] ეს საკითხი განიხილა პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველმა საკონსულტაციო საბჭომ. საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, პროკურორის მიმართ დისციპლინური სახდელი არ იქნა გამოყენებული. საქმის მასალებში არ მოიპოვება დასაბუთება, საბჭოს მიერ დისციპლინური სანქციის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, თვითნებური შესაძლოა იყოს.

საქმის დასრულების შემდგომ განმცხადებელთა ინფორმირება ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენს. მოქალაქისთვის გაგზავნილი შემაჯამებელი ტიპის წერილობითი დოკუმენტი ხუთიდან არცერთ საქმეში არ გვხვდება, რაც როგორც ნორმატიული ისე პრაქტიკის ხარვეზით არის განპირობებული. გენინსპექციისადმი ნდობის ამაღლებისათვის

[12]„მოცემული საქმის გამოძიების საწყის ეტაპზე არა თუ ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, პირიქით, არასრულყოფილი და უხარისხო გამოძიება იქნა წარმოებული, რის გამოც, გარდა იმისა, რომ მომხდარი ფაქტის უშუალო თვითმხივლელი მოწმის დაკითხვისა და ნივთის ამოღების დაგვიანებით ხელი შეეშალა საქმეზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარებას, [...] ასევე შეიქმნა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების შესაძლო დაკარგვის და განადგურების საფრთხე“ – იხ. საქმე N02/13–114108.

[13] გენერალური ინსპექციის უფროსის 2016 წლის 27 იანვრის მოხსენებითი ბარათი საქმეზე N02/13–114108.

აუცილებელია, მოქალაქეები იღებდნენ ინფორმაციას მათ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების პროცესისა და საბოლოო შედეგის შესახებ.

საქმისწარმოების გამჭვირვალობის პრაქტიკული უზრუნველყოფისთვის, ასევე მნიშვნელოვანია სამსახურებრივი შემოწმების სტატისტიკის პერიოდული გამოქვეყნება და ვებგვერდის ორგანიზება განმცხადებლისთვის მარტივად გამოსაყენებლად.

სუს-ის გენინსპექცია

სუს-ის გენინსპექციას მოქალაქეები, სხვა ორგანოებთან შედარებით, გაცილებით იშვიათად მიმართავენ. მიმართვიანობის სიმწირე ტენდენციების გამოკვეთის შესაძლებლობასაც არ ქმნის, თუმცა, ამ 12 საქმის ანალიზზე დაყრდნობით გარკვეული შეფასებები სახალხო დამცველის აპარატმა მაინც მოამზადა.

12 შემოწმების შედეგად გადაცდომა დადასტურდა 1 შემთხვევაში, რომელსაც მოჰყვა პირის დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გადაცდომა არ დადასტურდა.

12–დან 7 შემთხვევაში საჩივარი ეხებოდა ისეთ საკითხებს, რაც არ განეკუთვნება გენინსპექციის კომპეტენციას. არა–კომპეტენციას მიკუთვნებულ საჩივრებს შორის იყო ისეთიც, როდესაც მოქალაქის მიერ მითითებული პირი არ მუშაობდა სუს-ში.

ამ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სუს-ის გენინსპექცია სამსახურებრივ შემოწმებას იწყებს და რიგ მოქმედებებს ახორციელებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჩივარი აშკარად არარელევანტურია და შეეხება, მაგალითად, სამოქალაქო ტიპის დავას.

ერთ–ერთ შემთხვევაში, სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილად განხორციელდა. კერძოდ, დაგვიანებით მოხდა ვიდეოჩანაწერის გამოთხოვა, რის გამოც მისი მოპოვება შეუძლებელი გახდა. ასევე არ გამოიკითხა პირი, ვიზეც უთითებდა განმცხადებელი და რომლის იდენტიფიცირებაც პრობლემას არ წარმოადგენდა. სხვა შემთხვევებში, გენინსპექციის მოქმედებები გონივრულ ვადაში განხორციელდა.

გენინსპექციის დასკვნა, როგორც წესი, დასაბუთებულია, თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც, რასაც შემოწმების არასრულყოფილი ხასიათი განაპირობებს. ერთ–ერთ საქმეში სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა საერთოდ არ იყო შედგენილი. მნიშვნელოვანია, სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისას ყველა შემთხვევაში შედგეს დასკვნა, სადაც შემოწმების პროცესის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია აისახება.

შესწავლილი საქმეების უმეტესობაში განმცხადებელს შემაჯამებელი პასუხი აცნობა გენინპექციამ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექცია

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ მოთხოვნილ პერიოდში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები სახალხო დამცველს რამდენიმე თვის დაგვიანებით გააცნო.

შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 7 ინდივიდუალური საქმე, რომელიც სხვადასხვა პერიოდში მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე იყო გამოთხოვილი, ხოლო შემდგომ მოხდა გენინსპექციის მიერ წარმოდგენილი 165 საქმის თავად შსს-ს შენობაში შესწავლა.

ზემოაღნიშნულ 172 შემთხვევიდან (165 ადგილზე შესწავლილი და 7 ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე შესწავლილი საქმეების ჯამი) გადაცდომა დადასტურდა და მას დისციპლინური პასუხისმგებლობა მოჰყვა მხოლოდ 8 შემთხვევაში. ამათაგან, 1 შემთხვევაში გადაცდომა 2 პირის მიმართ დადასტურდა და შესაბამისად, 2 პირს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, სულ 9 პირს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

გენინსპექციის მიერ მოწოდებული მასალის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ მოქალაქეები გენინსპექციას ძირითადად სატელეფონო ცხელი ხაზით უკავშირდებიან. ხშირია არარელევანტური (სამოქალაქო დავა, გაურკვეველი მოთხოვნა) ტიპის განცხადებები. გარდა ამისა, მოქალაქეები ხშირად თავად გაითხოვენ საკუთარ საჩივრებს. საჩივრის გათხოვის მიზეზად მითითებულია, რომ „მოქალაქე გაერკვა ვითარებაში და პრეტენზია აღარ აქვს“.

მიუხედავად განმცხადებელთა დიდი რაოდენობისა, აშკარაა, რომ მოქალაქეებს სათანადო წარმოდგენა არ აქვთ გენინსპექციის უფლებამოსილებაზე. წარმოდგენილ მასალაში მაღალი იყო რაოდენობა ისეთი ტიპის საჩივრებისა, რომელიც სხვა ორგანოს განსახილველ საკითხს წარმოადგენდა.[14] დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გენინსპექცია არ იწყებს სამსახურებრივ შემოწმებას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე წარდგენილ საჩივრებზე და განცხადებას აგზავნის პროკურატურაში.

რელევანტური საჩივრების უმეტესობა შეეხება პოლიციელთა გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებს, რა დროსაც ხდება დოკუმენტაციის (მაგ. სამართალდარღვევის ოქმის) მოძიება და საჩივრის ადრესატის გამოკითხვა. თუკი სამართალდარღვევის ოქმში დეტალურად არ არის აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, ინფორმაციის შევსება ხდება ახსნა–განმარტების ოქმით. ინსპექტორები რეგულარულად უკავშირდებიან მოქალაქეებს და მოიპოვებენ საჩივართან დაკავშირებულ ინფორმაციას.

საჩივრებზე რეაგირება საკმაოდ სწრაფად ხდება. მყისიერია რეაგირება მაღალი ინტენსივობის უფლებადარღვევის შინაარსის მქონე საჩივრებზე, რასაც ხელს უწყობს რეგიონული ოფისების არსებობა.

დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ტიპის არსებითი ხარვეზი. პირველ მათგანს წარმოადგენს სამხრე კამერების ჩანაწერების მოპოვება. უწყების წარმომადგენელთა ზეპირი განმარტებით, წარმოდგენილ მასალებში, ტექნიკური მიზეზების გამო, შესაძლოა გარკვეული დოკუმენტები არ ყოფილიყო ასახული. თუმცა აშკარაა, რომ არცერთ წარმოდგენილ საქმეში არ ფიგურირებდა სამხრე კამერის ჩანაწერის მოპოვებასთან დაკავშირებით უწყების მიერ განხორციელებული მოქმედება და შესაბამისად, არც ჩანაწერები არსებობს.

[14] მაგ. შსს-ს სხვა დეპარტამენტები (საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილ ჯარიმაზე, ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე), პროკურატურა (საგამოძიებო მოქმედებების კანონიერება, დანაშაულის ჩადენის ფაქტი), სასამართლო და ა.შ.

მეორე მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ საქმისწარმოება წყდება, თუკი პირი ვერ ახდენს პოლიციელის იდენტიფიცირებას. ეს პრობლემას წარმოადგენს იმ შემთხვევებში, როდესაც გენინსპექციას თავად შეეძლო საჩივრის ადრესატის იდენტიფიკაცია (მაგ. მაშინ, როდესაც შემთხვევა მეტროს ტერიტორიაზე ხდებოდა). განსაკუთრებით პრობლემატურია ისეთი საქმეები, როდესაც საქმეში არსებობს დარღვევის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულება, მაგალითად, ვიდეოკამერის ჩანაწერის, ან სასამართლო გადაწყვეტილების სახით, თუმცა, საქმისწარმოება წყდება იმის გამო, რომ, გაურკვეველი მიზეზით, „უფლების დარღვევამ დადასტურება ვერ ჰპოვა“.

როგორც სხვა გენინსპექციების შემთხვევაში, შემოწმების მასალებში ხშირია პოლიციელთა ახსნა–განმარტებების იდენტური ტექსტები. სიტყვასიტყვით მეორდება არა მხოლოდ ცალკეული წინადადებები, არამედ, ხშირად, მთლიანი ახსნა–განმარტებაც, რაც შემოწმების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გენინსპექციის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთება. საქმეებში არსებული შემაჯამებელი ტიპის დოკუმენტი, როგორც წესი, მინიმალურ ინფორმაციას შეიცავს. საქმეებში არ გვხვდება მოქალაქეებისთვის ამ ინფორმაციის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა, რამდენიმე საქმეში არსებობდა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს საქმის დასრულების შესახებ სატელეფონო საუბრით ეცნობა. მნიშვნელოვანია, საჩივართან დაკავშირებით განხორციელებული სამართლებრივი რეაგირებისა და შედეგის შესახებ განმცხადებელს წერილობითაც ეცნობოს.

დასაბუთების ნაკლებობა პრობლემას წარმოადგენს მაშინაც, როდესაც ხდება პოლიციელისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება. წარმოდგენილ მასალებში ზოგჯერ გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატა დარღვევა. შესწავლილ დოკუმენტებში გვხვდებოდა მხოლოდ ზოგადი მითითება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაზე, კერძოდ, რომ პოლიციელმა არ შეასრულა შს მინისტრის 201–ე ბრძანება. აუცილებელია, რომ შემაჯამებელი დოკუმენტიდან ნათელი იყოს ის კონკრეტული ქმედება, რომელმაც გამოიწვია სახდელის დადება და სამართლებრივი ნორმა, რომელიც პოლიციელმა დაარღვია.

შვიდი ინდივიდუალური საქმის შესწავლის შედეგად გაცილებით უფრო მძიმე სურათი გამოიკვეთა. ყველა ამ საქმეში, გენინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება საგანგაშოდ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის იყო.

სამსახურებრივ შემოწმება არ იყო სრულყოფილი; არ იყო მოპოვებული ადვილად ხელმისაწვდომი, საქმისთვის რელევანტური ინფორმაცია. მაგალითად:

- რამდენიმე საქმეში ახსნა-განმარტება არ ჩამოერთვა თავად საჩივრის ავტორებს, რომლებიც სავარაუდო უფლებადარღვევაზე აცხადებდნენ;
- მოქალაქის განცხადების მიუხედავად, რომელიც შეეხებოდა ნარკოლოგიური შემოწმების ცენტრში მისი უფლების დარღვევის ფაქტებს, არ მოხდა წერილობითი, ვიდეო ან სხვა ტიპის დოკუმენტაციის მოპოვება; სხვა შემთხვევაში, გამოიკითხა აღნიშნულ ცენტრში მყოფი მხოლოდ ერთი პირი;

- მოქალაქე აცხადებდა, რომ შსს-ს ერთ-ერთი დეპარტამენტის შენობის ეზოსა და შენობაში, სადაც სავარაუდოდ, განთავსებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები, მის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მიუხედავად ამისა, არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა ვიდეოჩანაწერის მოსაპოვებლად.

შესაბამისად, ამ საქმეებში გენინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. გარდა ამისა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა შემოწმების ფორმალური მიმდინარეობა, კერძოდ:

- ინფორმაციას ისეთი უფლებადარღვევის თაობაზე, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და აშკარად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, გენინსპექცია აგზავნის პროკურატურაში და სამსახურებრივ შემოწმება მხოლოდ პროკურატურის მიერ საქმის უკან დაბრუნების შემდეგ იწყება, რაც პროცესს დროში აჭიანურებს და ამცირებს ობიექტური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას;
- შემოწმების მასალების მიხედვით, გაურკვეველია დასკვნაში დადგენილად მიჩნეული ფაქტების თაობაზე ინფორმაციის მიღების წყარო. საქმის მასალებში არ მოიპოვება შეტყობინება, განცხადება ან/და პატაკი იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციამ განაპირობა შემოწმების დაწყება;
- კანონმდებლობა არ არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს[15]. ინტერესთა კონფლიქტის სავარუდო შემთხვევაზე მიუთითებდა ერთ–ერთი განმცხადებელი სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვაშიც, რაც, გენ ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გენინსპექციის მიერ შედგენილი დასკვნების დასაბუთების ხარისხი არის იმდენად დაბალი, რომ მათი კანონიერების შემოწმება შეუძლებელია და გამოსწორებას საჭიროებს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენინსპექცია

სასჯელაღსრულების გენინსპექციას, ზემოხსენებულ ორგანოებთან შედარებით, ყველაზე მეტი პირი მიმართავს. ცალკეულ პირთა, პატიმართა და ადვოკატთა მიმართვების მაღალი რიცხვიდან გამომდინარე, გენინსპექციას ადამიანური რესურსით გაძლიერება ესაჭიროება, რაც შეხვედრის დროს ამ უწყების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

შესწავლილი 108 საქმიდან გადაცდომა დადასტურდა 6 შემთხვევაში. ამათგან, 1 შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის ადრესატი იყო 2 პირი, შესაბამისად, მთლიანობაში, პასუხისმგებლობა დაეკისრა 7 პირს.

ადამიანური რესურსის ნაკლებობა ყველაზე მკაფიოდ რეაგირების ვადებზე აისახება. ხშირია შემთხვევები, როდესაც გენინსპექციამ მოქმედება განცხადების მიღებიდან ორი კვირის ან მეტი დროის გასვლის შემდგომ განახორციელა. რეგიონული ოფისის არქონის გამო,

[15] როდესაც განმცხადებელი იმ პირის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე უთითებს, რომელსაც მოგვიანებით ევალება მისი საჩივრის შესწავლა.

განსაკუთრებით პრობლემურია დასავლეთ საქართველოდან შემოსულ განცხადებებზე რეაგირება, რაც ხშირად ერთი თვის შემდგომ ხდება.

პირველადი მოქმედებების, განსაკუთრებით კი – ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან გასაუბრების დაგვიანებით ჩატარება მკვეთრად ამცირებს სამსახურებრივი შემოწმების ეფექტიანობას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეაგირება შედარებით სწრაფად ხორციელდება ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფასთან დაკავშირებულ საჩივრებზე. დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ ფიზიკურ შეურაცხყოფებთან დაკავშირებული საჩივრები, მიმართვების საერთო რაოდენობის მცირე ნაწილია.

წარმოდგენილი მასალების შესწავლიდან იკვეთება, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პირები გენინსპექციას ხშირად მიმართავენ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რაც ამ ორგანოს კომპეტენციის სფეროში არ ხვდება.[16] თუმცა, მსგავს შემთხვევებში, გენინსპექცია ხშირად არ წყვეტს წარმოებას და არარელევანტურ მოქმედებებს ახორციელებს.[17] ისედაც შეზღუდული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნულ საკითხებზე მოკლე წერილობითი განმარტებით შემოფარგვლა.

თითოეულ საქმესთან დაკავშირებით გენინსპექცია საშუალოდ 2–3 მოქმედებას ახორციელებს. ჩატარებული მოქმედებების მცირე ოდენობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ მაღალია არარელევანტური საჩივრების რიცხვი. პირიქით, როგორც წესი, შედარებით მეტი მოქმედება არარელევანტურ საჩივრებზე ტარდება.

საჩივრის მიღების შემდგომ, გენინსპექციის საწყის მოქმედებას გამოკითხვა წარმოადგენს. დადებითად უნდა შეფასდეს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც გენინსპექცია თითქმის ყოველთვის გამოკითხავს განმცხადებელს, ასევე, განმცხადებლის მიერ მითითებულ პირებს. თავდაპირველად გამოიკითხება პატიმარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – დაწესებულების თანამშრომელი. სამედიცინო პრობლემებთან დაკავშირებულ საჩივრებზე გამოიკითხებიან შესაბამისი პროფილის პირები.

გამოკითხვის განმავლობაში ხდება სრული ინფორმაციის მოპოვება განმცხადებლისგან, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც პირი აცხადებს უნდობლობას, ან ახსნა–განმარტების მიცემაზე უარს ამბობს. შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხვა შინაარსობრივად სრულყოფილად ხორციელდება,[18] თუმცა, დაწესებულების თანამშრომელთა გამოკითხვის ოქმების შესწავლის შედეგად რამდენიმე საქმეში მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა.

კერძოდ, თანამშრომლების გამოკითხვის ოქმებში იდენტურია არა მხოლოდ შემთხვევის აღწერა და მსჯავრდებულის დახასიათება, არამედ ხშირად სიტყვასიტყვით არის გადატანილი ცალკეული ფრაზები. გამოკითხვის ოქმებში ხშირად იდენტურია წინადადებათა წყობა, მეორდება სიტყვების თანმიმდევრობა, იდენტურია ორთოგრაფიული

---

[16] მაგ., სხვა დაწესებულებაში გადაყვანის, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის, უდანაშაულობის დამტკიცების, საშიშროების რისკის ცვლილებისა და სხვა მოთხოვნებით. დაწვრილებით იხ. სტატისტიკური ანალიზი.

[17] მაგ. სხვა დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნასთან დაკავშირებული განცხადების შესწავლისას მოხდა სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, პირთა გამოკითხვა და ა.შ.

[18] თუმცა, დაფიქსირდა ხარვეზები ჯგუფური საჩივრების შესწავლის პროცესში, ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როცა განცხადებაში სხვადასხვა საკითხის მითითების მიუხედავად, პირი მხოლოდ ერთ, ყველაზე მცირე მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებით გამოიკითხა.

და მექანიკური შეცდომებიც კი. თ.მ.–ის საქმეში დაწესებულების 4 თანამშრომლის ახსნა–განმარტებები ხელით არის დაწერილი და მითითებულია, რომ იგი დაწერილია უშუალოდ მათ მიერ, თუმცა აღნიშნული ახსნა–განმარტებები არა მხოლოდ სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, არამედ შესრულებულია ფაქტობრივად იდენტური კალიგრაფიით. ეს „დამთხვევები“ ბადებს კითხვებს თანამშრომელთა გამოკითხვის პროცესთან დაკავშირებით.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისას ყოველთვის დგება მოხსენებითი ბარათი ან დასკვნა, თუმცა, ამ დასკვნაში მითითებული დასაბუთება ყოველთვის არ გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან.

პირველ რიგში, დასკვნის დასაბუთება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს, როდესაც პატიმრისა და თანამშრომლების ახსნა–განმარტებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. რეაგირების დაგვიანების გამო ვიდეოჩანაწერების მოპოვება და ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, როგორც წესი, შეუძლებელია. მსგავს შემთხვევებში წარმოება წყდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლებელი იყო დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, რაც არ მომხდარა.[19]

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება არასათანადო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა. პერსონალის გამოკითხვის შემდგომ, პაციენტის სამედიცინო ბარათიდან ინფორმაციის მოპოვება ყველა შემთხვევაში არ ხდება. შესაბამისად, დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ საქმეებზე შედგენილი შემაჯამებელი მოხსენებითი ბარათები, რომელიც სამედიცინო პერსონალის გამოკითხვის ოქმის გარდა, განმტკიცებულია ამოღებული დოკუმენტაციითაც, თუმცა, მსგავსი შემთხვევების რიცხვი მცირეა.[20]

წარმოების შეწყვეტის შესახებ მოხსენებითი ბარათის დასაბუთება პრობლემურია სხვა კუთხითაც. როგორც წესი, სამსახურებრივი შემოწმება წყდება, როცა მსჯავრდებული აცხადებს, რომ დაწესებულების თანამშრომლებთან მომხდარი კონფლიქტი დარეგულირდა ადმინისტრაციის ჩარევით. წარმოება ასევე შეწყდა სავარაუდო სიტყვიერ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც პირი, მისი მოთხოვნის შესაბამისად, გადაყვანილ იქნა სხვა დაწესებულებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთ–ერთი საქმე, სადაც განმცხადებელი ითხოვდა შრომის ანაზღაურებას სამეურნეო საქმიანობისთვის. გარდა პირადი საქმიდან ინფორმაციის გამოთხოვისა, გენინსპექციას არ განუხორციელებია რაიმე ტიპის მოქმედება და ყოვლად დაუსაბუთებელია მოხსენებით ბარათში მითითებული დასკვნა, რომ გადაცდომა არ დადასტურდა.

შესწავლილი მასალების მიხედვით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტიანი პრაქტიკისა და ხარვეზებით მიმდინარეობის გამო, შემაჯამებელი მოხსენებითი ბარათები როგორც წესი არის დაუსაბუთებელი, ხოლო დისციპლინური

---

[19] მაგალითად, ი.კ.–ს განცხადების განხილვისას არ მოხდა შემთხვევის შემსწრე სხვა მსჯავრდებულისა და თანამშრომლის გამოკითხვა.

[20] აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული შემოწმების ჩატარების დროისთვის გენინსპექციას არ გააჩნდა სამედიცინო დოკუმენტაციის შეფასებისთვის საჭირო ექსპერტული რესურსი, თუმცა ამ დროისთვის მის სტრუქტურაში შექმნილია და ფუნქციონირებს სპეციალიზებული სამედიცინო კონტროლის სამმართველო.

გადაცდომა მხოლოდ მაშინ დასტურდება, როდესაც დაწესებულების თანამშრომელი აღიარებს შესაბამის ფაქტს და არსებობს დარღვევის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტაცია, დაწესებულების ჟურნალის ჩანაწერის სახით.

რეკომენდაციები

- განმცხადებლებს წერილობით ეცნობოთ ჩატარებული შემოწმებისა და მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესახებ;
- სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას მოპოვებული იქნას ვიდეოჩანაწერები, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში;
- შსს-სა და სუს-ის გენინსპექციების მიერ სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისას ყველა შემთხვევაში შედგეს დასკვნა/ცნობა, სადაც შემოწმების პროცესის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია აისახება.

სასჯელაღსრულება

გადაცდომები		საჩივრის ტიპები		ჩატარებული მოკვლევა	
განცხადების რაოდენობა *	104	სიტყვიერი შეურაცხყოფა	12	მოქმედება ჩატარდა	99
წარმოება დაიწყო	90	არაეთიკური მოქმედება	12	განმცხადებელი გამოიკითხა	78
გადაცდომა დადასტურდა	6	ფიზიკური შეურაცხყოფა	6	განმც–ის მიერ მითითებული მოქმედება ჩატარდა	4
სანქცია გამოყენებულ იქნა	7	უხარისხო სამედიცინო სერვისი	16	სპეციალისტის/ექსპერტის მოწვევა	2
დასკვნა/მოხსენებითი ბარათი შედგა	99	გაურკვეველი/უნდობლობა	4	ვიდეომასალის ამოღება	1
პასუხი განმცხადებელს	4	სხვა (სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, უდანაშაულობა, დასაქმება, ა.შ.)	40	დოკუმენტაციის გამოთხოვა	44
განმცხადებელმა უარი თქვა	22			პირადი საქმის ამოღება	90
				არარელევანტური მოქმედებები	3
				სხვა სახის მოქმედება	1

** + სამი განცხადება, რომელიც შეეხება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის /სამართალდარღვევის ჩადენას*

სუს

გადაცდომები		საჩივრის ტიპები		ჩატარებული მოკვლევა	
განცხადების რაოდენობა	12	სიტყვიერი შეურაცხყოფა	0	მოქმედება ჩატარდა	8
დაიწყო წარმოება	7	ფიზიკური შეურაცხყოფა	4	განმცხადებელი გამოიკითხა	5
გადაცდომა დადასტურდა	1	დანაშაული	1	განმც–ის მიერ მითითებული მოქმედება ჩატარდა	ა/მ
სანქცია გამოყენებულ იქნა	1	სხვა (სამსახურის დაწყება, საპროცესო შეთანხმება და სხვ.)	7	დოკუმენტაციის/ვიდემასალის გამოთხოვა	4
დასკვნა/მოხსენებითი ბარათი შედგა	3			სხვა სახის მოქმედება	0
პასუხი განმცხადებელს	6				
განმცხადებელმა უარი თქვა	0				

პროკურატურა

გადაცდომები		საჩივრის ტიპები		ჩატარებული მოკვლევა	
განცხადების რაოდენობა	5	სიტყვიერი შეურაცხყოფა	1	მოქმედება ჩატარდა	4
დაიწყო წარმოება	5	არაეთიკური მოქმედება	2	განმცხადებელი გამოიკითხა	3
გადაცდომა დადასტურდა	1	ფიზიკური შეურაცხყოფა	0	განმც–ის მიერ მითითებული მოქმედება ჩატარდა	3
სანქცია გამოყენებულ იქნა	0	სხვა (არაეფექტიანი გამოძიება)	2	დოკუმენტაციის გამოთხოვა	5
დასკვნა/მოხსენებითი ბარათი შედგა	4			სხვა სახის მოქმედება	0
პასუხი განმცხადებელს	0				
განმცხადებელმა უარი თქვა	0				

შსს (ინდ. საქმეები)

გადაცდომები		საჩივრის ტიპები		ჩატარებული მოკვლევა	
განცხადების რაოდენობა	7	სიტყვიერი შეურაცხყოფა	4	მოქმედება ჩატარდა	4
დაიწყო წარმოება	6	არაეთიკური მოქმედება	2	განმცხადებელი გამოიკითხა	5
გადაცდომა დადასტურდა	1	ფიზიკური შეურაცხყოფა	0	განმც–ის მიერ მითითებული მოქმედება ჩატარდა	1
სანქცია გამოყენებულ იქნა	1	სხვა (ნარკოლოგიური შემოწმება)	1	დოკუმენტაციის გამოთხოვა	2
დასკვნა/მოხსენებითი ბარათი შედგა	1			სხვა სახის მოქმედება	2
პასუხი განმცხადებელს	0				
განმცხადებელმა უარი თქვა	0				

შსს (გამოთხოვილი საქმეები)

გადაცდომები		საჩივრის ტიპები		ჩატარებული მოკვლევა	
განცხადების რაოდენობა	165	სიტყვიერი შეურაცხყოფა	10	მოქმედება ჩატარდა	102
დაიწყო წარმოება	103	არაეთიკური მოქმედება	5	განმცხადებელი გამოიკითხა	88
გადაცდომა დადასტურდა	7	ფიზიკური შეურაცხყოფა	9	განმც–ის მიერ მითითებული მოქმედება ჩატარდა	0
სანქცია გამოყენებულ იქნა	8	დანაშაული	4	დოკუმენტაციის გამოთხოვა	2
დასკვნა/მოხსენებითი ბარათი შედგა	7	უმოქმედობა	29	სხვა სახის მოქმედება	46
პასუხი განმცხადებელს	31*	სხვა (არარელევანტური			
განმცხადებელმა უარი თქვა	38	საჩივრები)	79		

** – ასახავს იმ საქმეებსაც სადაც მხოლოდ მითითებულია, რომ განმცხადებელს ეცნობა პასუხი*